აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №11

4 ივნისი. 2004წ. ქ. ბათუმი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის „NDI"-ს რეგისტრაციის შესახებ;

3. განკარგულება საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" რეგისტრაციის შესახებ;

4. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება" რეგისტრაციის შესახებ;

5. განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. განკარგულება მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესის შესახებ;

7. დადგენილება ერთიანი სიის ფორმირების შესახებ 2004 წლის 1 ივნისის №09\2004 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

8. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა,
კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, მამუკა წულუკიძე, ლევან ჩავლეიშვილი. სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ს.ჩხაიძე .
სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ.
სხდომაზე განსახილველ დღის წესრიგს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა დამტკიცებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 26 მაისის დადგენილების პროექტი რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე"

განსახილველად წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. საკითხის გარშემო ისაუბრა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-16 მუხლის 10-ე პუნქტი მიგვითითებს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დადგენილების/განკარგულების მიღება ხორციელდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ კენჭისყრის გზით ხმათა უბრალო უმრავლესობით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" ცალკეულ მუხლებს. ამ კანონის 22-ე მუხლის 13-ე პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისია დადგენილებას იღებს სიითი შემადგენლობის 2/3-ით. აქედან გამომდინარე, რადგანაც უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, ამიტომ აჭარის ა.რ. უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-16 მუხლის 10-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,10. უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დადგენილების\განკარგულების მიღება ხორციელდება საქართველოს საარჩევნო კომისიისათვის დადგენილი წესით". წამოყენებული საკითხის წინააღმდეგი წავიდა კომისიის წევრი გ. ბზიკაძე. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მის ხელთ არსებობდა უსკოს რეგლამენტის პროექტი და არა დამტკიცებული რეგლამენტი-ცვლილებებით შეტანილი, რის გამოც მის ხელთ არსებული რეგლამენტის მუხლი არ დაემთხვა დადგენილების პროექტში მოყვანილ მე-16 მუხლს.

დადგენილების პროექტი დადგა კენჭიყრაზე. კენჭიყრაში მონაწილეობდა ყველა წევრი. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღებას კენჭი ეყარა და რვა ერთის წინააღმდეგ იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი-განკარგულების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის "NDI"-ს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ თუკი რომელიმე ორგანიზაცია გამოთქვამს სურვილს დაესწროს არჩევნების ჩატარების პროცესს, ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობას. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დადგა კენჭიყრაზე. კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის- განკარგულების პროექტი საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების'' რეგისტრაციაში გატარების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ ეს არის ანალოგიური პროექტი განკარგულებისა, რომელიც დამტკიცდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხად. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დადგა კენჭიყრაზე. კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და იქნა მიღებული ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებლი მეოთხე საკითხის- განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ,,საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება" რეგისტრაციაში

გატარების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ ესეც არის ანალოგიური პროექტი განკარგულებისა, რომელიც დამტკიცდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე და მესამე საკითხებად. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დადგა კენჭიყრაზე, კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხის – განკარგულების პროექტი ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ– წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან დამსწრე წევრებს წარუდგინა ქაღალდის ნიმუშები: მწვანე და ვარდისფერი ფერის. გადაწყვიტეს: აჭარის არ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობა იყოს მწვანე ფერის, ხოლო აჭარის არ უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამწრომლის მოწმობა ვარდისფერი. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დადგა კენჭიყრაზე, კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხის–განკარგულების პროექტი მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესის შესახებ – წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. განკარგულების პროექტში, მუხლების მითითებით ჩამოყალიბებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პარტიის\საარჩევნო ბლოკის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების შემოწმების წესი, რომელსაც გაეცნო კომისიის წევრები. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დადგა კენჭიყრაზე, კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხის- დადგენილების პროექტი აჭარის არ უმაღლესი საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ 2004 წლის 1 ივნისის №09\2004 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. წარმოდგენილი პროექტის გარშემო ისაუბრა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. მან აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ერთიანი (საბაზისო) სიის ფორმებს 8,10, და 13-ში გადასცემდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. უფრო მობილური მუშაობისათვის სასურველია მას დაემატოს რიცხვი – 6 ივნისი. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 9, 11, 14 ივნისისა გადასცენ უსკოს ამომრჩეველთა ერთიანი საბაზისო სიის ფორმები. ასევე შესაძლებელია ამ დღეებს დაემატოს 7 ივნისი და შევიდეს 9 ივნისის დადგენილებაში ცვლილება. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დადგა კენჭიყრაზე, კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე